ცნობის ფურცელი

№ 1740 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 2 მარტი № 1740

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით, შაბათს, 2 მარტს, ქართველ-კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გადახდილი იქმნება დაბადების ასის წლის თავის წირვა და პანაშვიდი საქართველოს განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგის

მარი ბროსეს

სულის მოსახსენებლად. ღვთის მსახურება დაიწყება დილის 11½ საათზე და დასრულდება 12½-ზე. (რ. 3—3)

ვასილ იოსების ძე, ეფემია ბეჟანის ასული, ნიკოლოოზ იოსების ძე და ბარბარე პავლეს ასული ბრომელნი ატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 მარტს, ორმოცის დღის გარდაცვალებისა პირველის—მეუღლისა დ დანარჩენების—რძლის

ელისაბედ დონიკის ასულის ბრომელისა

წმიდა გიორგის ეკკლესიაში, ეგზარხოსის მოედანზე, იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. წირვის დასაწყისი იქნება 9½ საათზე. (1—1)

კვირას, 10 მარტს ქართული თეატრი 1902 წელს

ვ. ა. აბაშიძეს

25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართულ სცენაზე

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ იქმნება

სადღესასწაულო წარმოდგენები

დილით: დასაწყისი 1 საათზე.

წარმოდგენილი იქმნება სცენები თავ. გ. ერისთავის კომედიიდან

„გაყრა"

თვითონ იუბილარის და მთელი დასის მონაწილეობით; დასასრულ

სადღესასწაულო მილოცვები და სხვ.

საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.

მესამე მოქ. გოგოლის კომედ. „**რევიზორი**", მეორე მოქ. ა. ცაგარლის კომ. „**ხანუმა**", მესამე მოქ. მოლიერის კომ. „**მუზმუზელა**" და მესამე მოქ. სუნდუკიანცის კომედია „**ხათაბალა**". დასასრულ

აპოთეოზი

ადგილების ფასი საბენეფისოა

დრამატიული საზოგ. ადმინისტრაცია.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. ვ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები - მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლორდ როზბერის კარგი დრო ვერ დაუდგა, როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს. როზბერიმ თავი დაანება ლიბერალურ პარტიას და განიზრახა განსაკუთრებული დასის დაარსება იმ იმედით, რომ მას ბევრი გაჰყვებოდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ლიბერალურ პარტიას იმპერიალისტებმაც კი არ დაანებეს თავი. როცა როზბერიმ განაცხადა, რომ არ შეუძლია კემპბელ-ბანერმანთან ერთად მოქმედება, ლიბერალ-იმპერიალისტების მეთაურმა დოქტორ ხარტმა პროტესტი გამოაცხადა—საჭიროება სრულებით არ მოითხოვს ლიბერალურ დასის ორად გაყოფასო. როზბერის გაჰყვნენ მხოლოდ ასკიტი, ფაულერი და გრეი—იმპერიალისტების ტრიუმვირატი. ამათ შეჰქმნეს ახალი ლიგა როზბერის თავმჯდომარეობით. მაგრამ საკვირველი აქ ის არის, რომ ლიგამ სახელად „ლიბერალური" დაირქვა და თან გამოაცხადა—ლიბერალურ პარტიასთან ერთად ვიმუშავებთო. როზბერი აცხადებდა, არ ვეთანხმები ლიბერალებს არც გარეშე, არც შინაურ საქმეების კითხვებშიო და ეხლა ამავე ლიბერალებთან ერთად უნდა მოქმედება. ცხადია, როზბერის ასეთის წაჯექ-უგუჯექობის პოლიტიკა მხოლოდ იმით უნდა აიხსნეს, რომ მოამსრევება ერთბაშად მტერე დაურჩა. ლიბერალ-იმპერიალისტები, ალბად, კარგად იცნობდნენ ლორდ როზბერის ასეთ დაუდეგრობას და იმიტომაც არ გაჰყვნენ მას, თუმცა კემპბელ-ბანერმანს ბევრში არ ეთანხმებიან. მაგრამ უფრო მტკიცე ხასიათის პატრონი და ავტორიტეტის მქონე მათური ეულოებათ, ესენიც უნდა ჩამოშორდნენ კემპბელ-ბანერმანს, რადგან მათ შორის ზოგი არსებითი, პრინციპიალურ ხასიათის განსხვავებაა.

ნამდვილი ლიბერალური დასი, რომელიც ერთსულ და ერთ-გულ მუშაობს კემპბელ-ბანერმანის მეთაურობით, ბევრს ვერას მოიგებს როზბერის დამარცხებით. პარტიის ძალას მარტო რიცხვი არ შეადგენს, ძალისა და გავლენისათვის საჭიროა პარტიის შემადგენელ ნაწილების ერთგვარობა. თუ ეს ეროგვარობა არ არის, პარტიის მოქმედება შეფერხებულია—მას არ შეიძლება ჰქონდეს ცხადი და გარკვეული პროგრამა, და მაშასადამე, მისი მოქმედებაც გაუბედველი და უენერგიო იქნება. პირიქით, როცა პარტია ერთგვარია, პროგრამაც ცხადი და გარკვეულია, მოქმედებაც მტკიცე და გაბედული. ირლანდიელ დეპუტატების რიცხვი ნაკლებია ლიბერალებისაზე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ირლანდიელებმა იციან, რა უნდა გააკეთონ, ამათი გავლენა და მნიშვნელობა მეტია ინგლისის პარლამენტში, ვიდრე ლიბერალ დეპუტატებისა. ამიტომაც არის, რომ ლიბერალურ პარტიის მომავლისათვის უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა საეჭვო ელემენტები ჩამოშორდებოდა.

იაპონია. 1896 წელს ტოკიოში გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით მთავრობა მფარველობას და დახმარებას უწევდა იაპონურ ნაოსნობის განვითარებას. ნიჭიერმა და ენერგიით სავსე იაპონელმა შესანიშნავად გამოიყენა ეს კანონი. ჩინეთის ზღვებში და მდინარეებში იაპონიის ნაოსნობას ეხლა პირველი ადგილი უკავია. რამდენიმე წლის წინად კი თითქმის მარტო ინგლისელების გემები დაცოდნენ ჩინეთსა და იაპონიას შუა. შემდეგ გაჩნდნენ გერმანული გემებიც, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს როგორც იანცეკიანგის ბასეინში, ისე ყვითელ ზღვაშიაც პირველობა იაპონიას ეკუთვნის და ეს პირველობა თანდათან უფრო ძლიერდება. მალე იაპონიის ვაჭრობა მთელს ჩინეთს მოედება, რადგან მას, სხვა მოცილეებთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, გეოგრაფიული მდებარეობა იაპონიისა ძვირად ღირს სავაჭრო ინტერესებისათვის. მეორე—საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ თითქმის ყოველმა იაპონელმა ჩინური წერა-კითხვა იცის: სამხრეთ ჩინეთში მივარდნილ იაპონელს ჩრდილოეთელ ჩინელად მიიღებენ, რადგან ეს ჩრდილოეთელი ჩინელიც მარტო წერით თუ გააგებინებს თავის აზრს სამხრეთელს, თორემ ისე ერთმანეთის ლაპარაკისას ვერას გაიგებენ. ამიტომ იაპონელ ვაჭარს უკეთ და მეტის ნდობით მიიღებენ სამხრეთ ჩინეთში, ვიდრე ევროპიელს, და ეს გარემოება კი ცოტას არ ნიშნავს ისეთ ქვეყანაში ვაჭრობისათვის, როგორიც ჩინეთია.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ იაპონიის სავაჭრო ფლოტის მეტი ნაწილი ნაგასაკში, კობეში და ოსაკში აშენებულია. ამ მხრივაც იაპონია დამოუკიდებელი გახდა ევროპისაგან.

იაპონიის განვითარების მორე-მეთვალყურეს ეს განვითარება საწყაულად უნდა ეჩვენოს. რამდენიმე ათის წლის წინათ ველურად მიჩნეული იაპონელი დღეს იმდენად წავიდა წინ და გაძლიერდა, რომ ამაყი ინგლისელი დღეს მეგობრობასა და კავშირს სთხოვს. სულ მოკლე ხანში იაპონია დიდებული სახელმწიფო და ევროპის სახელმწიფოების ოჯახის წევრი გახდა. პარიზის ტრაქტატით მონგოლთა მეორე იმპერიაც—ოსმალეთი შეიქნა ამავე სახელმწიფოების კონცერტის ერთი წევრთაგანი, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ წევრობის შორის: ოსმალეთი ძალით ჩაითრიეს, რომ კონცერტის ერთ წევრს—რუსეთის იმპერიას გადარჩენოდა; იაპონიამ კი თვითონ გაიღო კარი და გვერდში ამოუდგა გუშინდელ თავის მასწავლებლებს და თითქმის მბრძანებლებს.

ოსმალეთი. იმ დროს, როცა იაპონიის მიკადო (იმპერატორი) სათავეში უდგია თავის სახელმწიფოს და წინსვლის და განვითარების გზაზე მიუძღვის, ოსმალეთის სულთანი სულ იმის ფიქრს და ზრუნვაშია, თავის მოღალატეები და მკვლელები ეძიოს, დასაჯოს და როგორმე სული შეირჩინოს. სულთანის ავადმყოფური შიში და ეჭვი იქამდე მივიდა, რომ, როგორც ირწმუნებიან, მას ეგრედ წოდებული „დევნის მანია" უნდა სჭირდეს: არ სჭამს და არ სვამს, ძილი სრულებით დაკარგული აქვს, ვინც მიუხლოვდება, „ახალგაზრდა ოსმალელი" ან მკვლელი ჰგონია; ყველაზე ეჭვი აქვს მინისტრიდან დაწყებული უბრალო მოხელემდე. მზე ჩავა თუ არა, ილდიზკიოსკში სამარისებური სიჩუმეა. მთელ ქალაქში აკრძალულია ყოველგვარი შეკრებულება. სულთანის ეს სულის მდგომარეობა აქამდე საიდუმლო იყო, ეხლა კი მთელი ქალაქი ლაპარაკობს ამაზე. თუ სულთანი არ გამოკეთდა, მოსალოდნელია, რომ ყველა გავლენიანი პირები არაბეთში და სპარსეთის ყურის ნაპირებზე გაჩნდებიან ან საზღვარ გარეთ გაიქცევიან. იაპონიის მიკადოს კი ყველა გამოჩენილი და ნიჭიერი იაპონელი სჭირდება იაპონიის საქმეების გასაძღოლად და, რასაკვირველია, არც ერთს მათგანს არ ჰგზავნის ფორმოზის კუნძულზე და არც ერთი მათგანი არ გარბის საზღვარ-გარეთ, და თუ მიდის, ცოდნის შესაძენად, რომ შემდეგ უკეთ ემსახუროს მამულს.

ავსტრ-უნგრეთი. თუმცა კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიდის ბიუჯეტის განხილვის საქმე. მაგრამ პარლამენტის ეს მშვიდობიანი განწყობილება დროებითია: ყოველი პარტია ლოდინშია, კრიზისი ცხადიდან მიმალული შეიქნა. თუ კერბერი ვერ მოახერხებს ჩეხებისა და გერმანელების შერიგებას, კრიზისი—და ბევრად უფრო საშიში წინანდელზე—ისევ თავს იჩენს. ტყვილად კი არ სთქვა მლადოჩეხმა გრეგრმა—ჩვენ ვთხოულობთ იმას, რაც გვეკუთვნის და ნდობას მხოლოდ იმ მთავრობას გამოვუცხადებთ, რომელიც ჩვენს კანონიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებსო. ამაყი და გაბედული სიტყვებია ჩეხელ დეპუტატის სიტყვები, მაგრამ ჩეხიის ერის წარმომადგენელს უფლება აქვს ეგრე ილაპარაკოს: ამ ერმა დაიმსახურა ყოველ-მხრივ ის, რასაც თხოულობს სრული ავტონომია; მან დაუმტკიცა ქვეყანას თავისი სრული მომწიფება და მიზანსაც მალე მიაღწევს.

ჩეხელ მოღვაწეს მარტო სახლში მუშაობითა და მოქმედებით როდი მოუმზადებია ასე თავისი ერი, არა, იგი სცდილობდა გასცნობოდა დაწინაურებულ ევროპას და გაეცნო ევროპისათვის თავისი ერი. იგი ყოველთვის იმის ცდაში იყო დაენახვებინა ყველასათვის, რომ თუმცა ჩეხია ავსტრ-უნგრეთის მონარხიის წევრია, იგი მაინც განხვავებულს, განსაკუთრებულს მთელს წარმოადგენს...

ეხლაც, ვიქტორ ჰუგოს დაბადების ასის წლის იუბილეიში, თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღეს ჩეხებმა. ქალაქმა პრაგამ საგანგებო დეპუტაცია გაგზავნა იუბილეიში მონაწილეობის მისაღებად. პარიზელები დიდის ყურადღებით და პატივისცემით დახვდნენ ჩეხელ სტუმრებს. პარიზის მუნიციპალიტეტმა პრაგის დელეგაციის პატივსაცემლად ბანკეტი გაჰმართა, პარიზის მერმა დოსუმ პარიზელების დიდი სიმპატია გამოუცხადა ჩეხიის ერს, დალია სადღეგრძელო ჩეხების და ფრანგების მეგობრობისა და ჩეხიის სამეფოსა. პრაგის ქალაქის თავმა საპასუხოდ იმედი გამოსთქვა, რომ ორივე ერი კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირდებიანო.

პარიზელი სომხები. შორს გამჭვრეტ და გამოცდილ ჩეხებს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ—ჰიუგოს იუბილეიში თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღია სომხების წარმომადგენელსაც. როგორც „ნოვ. ობოზრენიე"-ს სწერენ, სომხების წარმომადგენელად ყოფილა ჟურნალ „ანაით"-ის (პარიზში გამოდის) რედაქტორი ჩობანიანი. ჩობანიანს წაუკითხავს ადრესი, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე. პარიზის მერს მხურვალე მადლობა გამო-

უცხადებია სომხების წარმომადგენლისათვის გრძნობიერ სიტყვისათვის.

ჩვენ კი ეხლაც „circassien“-ის სახელით გვნათლავენ.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 1 მარტს, **ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე** II გარდაცვალების დღეს, სიონის საკრებულო ტაძარში, საქართველოს ექსარხოსმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსიმ, გორის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო კირიონის და ქალაქის სამღვდელოების თანა მწირველობით, გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ქალაქის კომენდანტი გენ. რეიტერი, ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი, ტფ. გენერლობა, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უმფროსნი და წარმომადგენელნი და გარეშე ხალხი.

◆ გავახსენებთ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 2 მარტს, ღვთის-მშობლის მიძინების ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი **მარი ბროსეს** სულის მოსახსენებლად.

◆ თანახმად ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებისა, ტფილისისა, ქუთაისისა და ჩერნომორიის გუბერნიები **საფაბრიკო ზედამხედველობის** მხრით მიეწერენ ხარკოვის საფაბრიკო ოლქის მმართველობას.

◆ კავკასიაში **ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა** საურთიერთო დახმარების საზოგადოების წესდების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა სათანადო მთავრობას.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, განზრახვა აქვთ **ოსური სახელმძღვანელოები შეადგინონ** ოსებთა სკოლებში სასწავლებლად. ამ საქმისთვის მიუმართავთ მცოდნე პირებისთვის, წარმოადგინონ სახელმძღვანელოები, რომ ყველა ოსის სასწავლებლებში ახლო მომავალში შემოიღონ ოსური ენის სწავლება.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტმა მიწერილობა გაუგზავნა ყველა სამკურნალო სამართველოებს, რომლითაც უცხადებს, რომ ეპარქიალურ და დედათა ინსტიტუტში კურს დამთავრებულ ქალებს ნება ეძლევათ **აფთიაქის შეგირდებათ** შევიდნენ, თუ ამასთანავე მოწმობას წარადგენენ, რომ მათ ვაჟთა გიმნაზიის 4 კლასის პროგრამის ლათინური ენა იციან. იმ შემთხვევაში-კი, როცა რომელსამე პირს ზემოდ დასახელებული სასწავლებლები დასრულებული არ ექნება, აფთიაქში შაგირდათ შესასვლელად უნდა ვაჟთა გიმნაზიის ოთხი კლასის პროგრამით ეგზამენი დაიჭიროს ბერძნული ენის გარდა.

◆ ტფილისის საქალაქო სასწავლებლების სამოსწავლო კომისიამ დაადგინა, **გამოიწეროს გოგოლის თხზულებანი** როგორც ერთ წიგნში მოთავსებული, აგრეთვე ცალ-ცალკე თითო თხზულებათა გამოცემა, აგრეთვე მწერლის სურათები, რომ დაურიგონ ქალაქის სასწავლებლების შეგირდებს.

◆ ტფილისში ჩამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე ბ. იასნოპოლსკი, რათა რევიზია მოახდინოს როგორც საქალაქო, ისე სამაზრო **სამხედრო საკრებულოებში.** ჯერ-ჯერობით რევიზიას მორჩა ბათუმში და გორში; ორ მარტს მიემგზავრება თიონეთში და იქიდან სხვა მაზრებში.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის შეთანხმებით, ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრას ეძლევა ნება **სახელმწიფო ტყით სარგებლობისა**, როგორც ეს მიღებულია მთელს იმპერიაში; ასე რომ აწყურის სასოფლო საზოგადოების 12 სოფელს: აწყურს, ცრიოხს, წინ-უბანს, წოხტევს, ზიკილიას, ტყემლანას, დღვარს, სოჩხირეს, დვირს, საკუფეთს, ალარას და თადრისს წინანდებურად ნება ეძლევათ, ხაზინისგან შეიძინონ უვაჭროდ ტყე არა მარტო თავის საჭიროებისათვის, რომელიც ნაჩვენებია 16 მარტის 1896 წლის წესდებაში, არამედ ნება აქვთ ტივები შეჰკრან და მდინარე ტკვრით გაგზავნონ გასასყიდად.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებით, ალაზანს გაღმა და თელავის **სახელმწიფო მამულებიდან გამოტანილი ხის მასალა** საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მიმდინარე მარტის თვეში; 11 მარტს საჯარო ვაჭრობა იქნება გავაზის მთიდან გამოტანილ მასალაზე, გავაზის სოფლის საზოგადოების სამმართველოსთან; გასასყიდად დანიშნულია სახლების საშენებელი მასალა —1000-ზედ მეტი კარგის თვისების ხე; 13 მარტს საჯარო ვაჭრობა იქნება ოჟიოს სოფლის საზოგადოებისა და 16 მარტს ნაფარეულის სოფლის საზოგადოების სამმართველოსთან.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველომ გამოაცხადა განმარტება შესახებ წამლებით და საავადმყოფოებით სარგებლობისა სახელმწიფო ხარჯით იმ მოსამსახურეთაგან, რომელთაც **წელიწადში 1,200 მან. მეტი ეძლევათ ჯამაგირი.** ამ მოსამსახურეებს დღემდის წამლებით და საავადმყოფოებით სარგებლობა სახელმწიფო ხარჯზედ არ შეეძლოთ.—ამ ჟამად განმარტეს, რომ იმათა აქვთ ნება ისარგებლონ წამლებით და საავადმყოფოებით გადაწყვეტილ განსაკუთრებულ ფასად, რომელიც გამოანგარიშებული უნდა იყოს წამლების ნამდვილი ღირებული ფასის მიხედვით და იმ საშუალო ფასისა, როგორც დამჯდარა ავადმყოფების შენახვა რკინის გზების საავადმყოფოებში წარსული წლის ანგარიშით; მხოლოდ ამას უნდა დაემატოს 15% წამლების ღირებულებისა და მკურნალობისათვის, რათა დაიფაროს ხარჯი საავადმყოფოებისა და აფთიაქებისა, აგრეთვე იქ მოსამსახურე მკურნალთა.

◆ ეს მე-3 წელიწადია, რაც **საკლავ საქონელზედ გარდასახადი შემოიღეს**, სულზე 2%. ამ შემოსავალზე საინტერესო ცნობები მოგვივიდა. წარსულ 1901 წ. ამიერ კავკასიაში ხსენებულს საქონელზედ გადაუხდევთნებიათ შემდეგი ხარჯი: ტფილისის გუბერნიაში—29,312 მან. 20 კ., ბაქოსაში—20,069 მან. 95 კ., ელისავეტოპოლისა—5,380 მ. 60 კ., ერევნისა—11,135 მ. 60 კ., ქუთაისისა—5,970 მან., ყარსის ოლქისა—15,627 მ. 90 კ., დაღისტნისა—5,345 მ. 10 კ., შავი ზღვის ნაპირის გუბ.—9,211 მან. 15 კ., ზაქათალის ოლქში—15 მ. 20 კ., და სულ მთელს ამიერ კავკასიაში—102,067 მან. 70 კაპ., ე. ი. 1900 წლის შემოსავალს 1901 წ. შემოსავალი აღემატება 6,208 მანეთით და 60 კაპ.

◆ არა ნაკლებ საინტერესოა ის ცნობა, **რამდენი მიუციათ** ჭირის გამო ძალად დახოცილ საქონლის პატრონებისათვის 1900 წელში. 1900 წ. იანვარში, თებერვალში, მარტში და აპრილში დახოცილი საქონლის პატრონებისათვის მიუციათ—89,255 მან. 80 კ; მაისში, თიბათვეში, მკათათვეში და მარიამობისთვეში—40,087 მან. 31 კაპ., ენკენისთვეში, ღვინობისთვესა, გიორგობის და ქრისტეშობის-თვეებში-84,791 მან. 63 კ., ხოლო სულ მთელი წლის განმავლობაში-214,134 მან. 74 კაპ. ამის გამო მთავრობის განკარგულებით, არსდება რამდენიმე საქონლის ასაცრელი სადგური, რომ ჭირიანი საქონელი არ დახოცონ და წინადვე აცრით გადაარჩინონ.

◆ სახალხო სასწავლებლების ინსპექტორმა თხოვნით მიმართა ბ. ტფილისის პოლიცმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ ტექნიკოსთა თანადასწრებით დაათვალიერონ სომეხ-გრიგორიანთა **საეკკლესიო-სამრევლო სკოლა** გრიბოედოვის ქუჩაზე; ამ სკოლის შენობა თურმე ისეთს საშიშ მდგომარეობაშია, რომ იძულებულნი არიან ბავშვებს სწავლა შეაწყვეტინონ.

◆ ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ლისიციანი. ამ დღეებში შეუდგებიან ლომბარდის **წარსული წლის** მოქმედების რევიზიას.

◆ ეს სამი დღეა „ივერია“ არ გამოდიოდა; გუშინ გამოვიდა ნახევარი №-რი, რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგ განცხადებას რედაქციისაგან: „რედაქცია გაზ. „ივერიისა“ ბოდიშს იხდის ხელის-მომწერთა წინაშე, რომ სტამბის მხრივ დაბრკოლების გამო რამდენიმე № გაზეთისა ვერ გამოვიდა. ჯერ ხნობით, დღევანდელს გარემოებაში, რედაქცია იძულებულია სხვა სტამბაში ბეჭდოს გაზეთი და, რადგანაც ამ ჟამად ახალს სტამბას დიდის ფორმატის შესაფერი მოწყობილობა არა აქვს, დროებით ძველს ფორმატს გაზეთისას დაუბრუნდეს; მაგრამ უეჭველივე ღონისძიება აქვს მიღებული, რომ, როგორც-კი სტამბა თავისს საქმეს მოაწყობს, ისევ გადიდებულის ფორმატითა ბეჭდოს გაზეთი. გულის ტკივილით აუწყებს-რა ამ გარემოებას რედაქცია თავისს ხელის-მომწერთ, ვალდებულადა ჰრაცხს თავსა დაკლებული №№-ები ან ისევ №№-ით შეუვსოს, ანდა რაიმე დამატება მიაწოდოს ხელის-მომწერთ“.

◆ დ. საჩხერიდან გვწერენ: ორის წლის კრიზისმა ცუდი გავლენა იქონია მცხოვრებლებზე; უფულობით შეწუხებული მკვიდრი ჩხირკედელობას გამოუდგა და თავის საქმეების გამოსაკეთებლად „ძველი ვექსილების“ განაღდებას შეუდგა. ზოგიერთები „ძველს ვექსილებსაც“ არ სჯერდებიან და ახალის შეთხზვასაც ისე ახერხებენ, რომ მნახველი განცვიფრებაში მოდის. აი მაგალითიც: რამდენიმე ხნის წინად ერთს საჩხერელს „ფულიან“ კაცს დ. ზესტაფონში, ნოტარიუსთან ვითომც შეუდგენია ვექსილი, რომლითაც კორბოულის საზოგადოების მცხოვრებ შეძლებულ გლეხს კილაძეს მისი 2000 მან. ემართოს. კილაძე, როგორც ამბობენ, ამტკიცებს, რომ, როცა ზესტაფონში ვექსილზე ხელი მოაწერინეს, ის იმ დღეს და იმ საათში რაღაც სადავო საქმეების გამო თავის სოფლის საზოგადოების სამმართველოში იყო წასული. არა ნაკლებ უცნაურს ამბავს წარმოადგენს კ. გ—ძეს დავა ს. ჭალის მცხოვრებ აზ. ი. ა—ძესთან, რომელსაც რამდენიმე მოწმე ჰყავს, რომ გ—ძისა მას ერთი ყურ-გახვრეტილი ფარა არასოდეს არ მართებია და 5000 მან. კი სასამართლოში უჩივის.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის ქალაქას გამგეობა შეუდგა

ფელეტონი

სიტყვა-კაზმული მწერლობა 1901 წ.

(დასასრული*)

ბ. შიო არაგვისპირელის კალამს ეკუთვნი, სგარდა წინად განხილულის ეტიუდებისა, რომელთაც სიმბოლოსმის ელფერი ატყვიათ, კიდევ სამი მოკლე ამბავი: „ღვინის ქურდი“, „მიწაა“ და „ჩემი ჩამშობლო ჩემი გულია“. „ღვინის ქურდი“-ს შინაარსს შეადგენს ხალხში გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, რომ რამდენიმე კაცი სხვის მარანში შეიპარა ღვინის მოსაპარავად, მაგრამ ღვინომ ისე მოინადირა ქურდების გული, რომ იმათ იქვე, ქვევრის პირასვე დაიწყეს სმა და მალე სიმღერაც შემოსძახეს. ხმაურობაზე მარნის პატრონს გაეღვიძა და განცვიფრებული შეიჭრა თავის მარანში; ქურდებმა სტაცეს ხელი დაუბარებელს სტუმარს, გააკავეს და თან უკიჟინებდნენ, როგორ გაჰბედე და ღვინის მოსაპარავად მოხვედიო. საბრალო პატრონი ძალიან გულნაკლული დარჩა, რატომ მაბრალებენ ქურდობასაო, და თან ეჭვი შეიტანა, იქნება მართლა ღვინის მოსაპარავად ვიყო აქ მოსულიო.

ხალხური ფანტაზიის გამოყენებას, იმის გაშინაარსებას პოეტურის ნაწარმოებისთვის მწერლობის ისტორიაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს, და ამ გარემოების მიზეზი სწორედ ის არის, რომ ეროვნული ხასიათი, ეროვნული თავისებურობა ისე მკაფიოდ, მარტივად და გარკვევით არაფერში არ იხატება, როგორც თვით ხალხის მიერ შექმნილს ფანტაზიაში. ჩვეულებრივ ყოველს ხალხურს თქმულებას რამდენიმე ვარიანტი, რამდენიმე სახე აქვს და მწერალმა ამ ვარიანტიდან ის უნდა ამოარჩიოს, რომელიც უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ ახასიათებს ეროვნულს ზნე-ჩვეულებას. ღვინის ქურდების შესახებ ექვსი თუ შვიდი სხვა-და-სხვა გვარი თქმულებაა, საერთო კი ყველა იმათ იცა აქვთ, რომ ღვინის მოსაპარავად სხვის მარანში შეხიზნულები იქვე სმას იწყებენ და თან სიმღერას მოაყოლებენ. ეს სულელური თავხედობა, ეს წრეს გადაცილებული გაუფრთხილებლობა, ჩვენის ფიქრით, დაკავშირებულია ქართველი კაცის ჩვეულებასთან ღვინის სმის დროს უთუოდ სიმღერით შეიქციოს თავი. ქართველს კაცს, ხალხურის ფანტაზიით, ქურდობის დროსაც კი არ შეუძლიან მხარი აუქციოს ძვალსა და რბილში გამჯდარს ლხინის წესს... ამ ხალხურის თქმულების აზრი ეს არის და ამიტომ ბ. არაგვისპირელს თავისი ყურადღება უმთავრესად იმ მომენტებზე უნდა შეეჩერებინა, თუ როგორ იწყებენ სხვის მარანში ღვინის საქურდავად შეხიზნულები სიმღერას. ხალხში გავრცელებულის თქმულებით, ერთ-ერთი შეზარხოშებული ქურდი თავის ამხანაგებს ეუბნება „დაბალის, უჩინარის ხმით ერთი მრავალ-ჟამიერ ვთქვათო“, მაგრამ მალე ქურდები იმდენად შედიან სიმღერის ეშხში, რომ სიფრთხილე და შიში სრულიად ავიწყდებად. ეს ფაბულა რომ მოხდენილად იქმნას გადმოცემული—სასაცილოც არის და საგულისხმოც. ბ. არაგვისპირელის გადმოცემაში სწორედ ეს საინტერესო მომენტია დაკარგული და სამაგიეროდ ვრცლად არის აწერილი ქურდების სხვის მარანში შეპარვა და მარნის პატრონის სისულელე, რომელსაც თითქოს სჯერა, რომ თავის მარანში ღვინის მოსაპარავად შევიდა.

ჩვენის ფიქრით, ისეთი მოკლე ხალხური თქმულება, როგორც „ღვინის ქურდია“, მწერალს დიდს მასალას ვერ მისცემს; ამ გვარს თქმულებას გაფართოვება არ უხდება, ის რამდენიც უფრო მოკლედ და სხარტულად ითქმის, მით უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენს. პუშკინი რუსულ ზღაპრებზე ამბობდა, ყოველი მათგანი მთელი პოემააო, მეტის სიმართლით ითქმის იგივე ქართულ ზღაპრებზე, მაგრამ ზღაპარი სხვა არის და ანეგდოტი—სხვა. ღვინის ქურდობის ამბავი კი უფრო ანეგდოტია, ვიდრე ზღაპარი. ძალიან მოსაწონია ბ. არაგვისპირელის განზრახვა: ხალხში გავრცელებულ თქმულებათა შემუშავება პოეტურ ნაწარმოებისთვის, მაგრამ ამ განზრახვის ასასრულებლად ჩვენს სახალხო პოეზიაში ბევრი საუცხოვო მასალაა და რატომ შეჩერდა ჩვენი ბელლეტრისტი ღვინის ქურდების ამბებზე,—არ გვესმის.

„მიწაა“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ ბ. არაგვისპირელისა უფრო გარკვეულის ხასიათის ეტიუდებს წარმოადგენენ. ჩვენ ერთხელ და ორჯელ არ გვითქვამს, რომ არაგვისპირელის ნაწერებში ტენდენცია სჭარბობს, ის თითქმის იმისთვის სწერს მოთხრობებს, რომ ამ საშუალებით რაიმე აზრი გამოააშკარავოს, გამოაქვეყნოს. „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ ერთის სიყვარულის მოკლე ისტორიას წარმოადგენს. პოლონელს ზდისს ქართველი ქალი მარო უყვარს, მაგრამ იმის სიყვარულს ხელ-ფეხს უკრავს ის შეხედულება, რომ პოლონელმა ცოლად პოლონელივე ქალი უნდა მოძებნოს. მარო სხვა შეხედულებისაა, იმის აზრით, სიყვარული უძირო ზღვაა, რომელსაც ვერც სამშობლოსადმი სიყვარული გადაეღობება წინ და ვერც არა სხვა. მაროსაც უყვარს ზდისი და მთელი თვისის არსებით ეძლევა სიყვარულის თავდამავიწყებელ ვნებას. ზდისი უეცრივ თავის სამშობლოსაკენ გასწევს და ამით სრულდება მისი და მაროს სიყვარულის ისტორია. პოლონეთიდან ზდისი ერთს თავის მეგობარს, ქართველს, სწერს, ჩვენი ქალების აზრით, მათი გული სამშობლოს კუთვნილია, საქართველოში კი ქალებიც და ვაჟებიც სხვა შეხედულებისანი არიანო. თითონ ავტორის სიმპატია პონელებისაკენ არის; იმის შეხედულებითაც, სიყვარულისათვის სამშობლო საზღვარია, რომელსაც არავინ არ უნდა გადაღიოდეს. ჩვენის ფიქრით, ბ. არაგვისპირელი შემცდარია. მარო ბევრით უფრო მაღალი და წმინდაა, ვიდრე ზდისი. ზდისი სიამოვნებით დაიარებოდა მთელის თვეების განმავლობაში ყოველ დღე მაროსთან, მის სანახავად. ზდისს მოსწონდა, უყვარდა მარო, მაგრამ თავის გრძნობას იმან ბორკილი მაშინ გაუყარა, როდესაც მაროს თანაგრძნობა იპოვნა. ზდისი ისე ეთამაშებოდა სიყვარულს, როგორც სათამაშო ბურთს. ადვილი წარმოსადგენია, რომ პოლონელი ზდისი და ქართველი მარო ისე გულმართლად და ისეთის ნდობით ვერ აჰყვებოდნენ თავისს გრძნობებს, როგორც იმ შემთხვევაში, ორივენი რომ ერთის ეროვნობისა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს გარემოება ზდისს არავითარს უფლებას არ აძლევს, მაროს მხოლოდ იმ დრომდე ეკეკლუცოს, ვიდრე ახალგაზდა ქალის გულში დამამონავებელ სიყვარულის გრძნობა გაჩნდება, და შემდეგ კი ზურგი შეუქციოს და თავის საყვარელს პოლონეთში გაემგზავროს. ეროვნული განსხვავება ან

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1716.

იმის ზრუნვას, რომ ქუჩებზე ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისაგან, ქალაქის გამგეობის დაუკითხავად, არ დადგმულიყო ბოძები. გამგეობის ცდამ მაშინ უნაყოფოდ ჩაიარა; და სწორედ ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისაგან ქალაქის ქუჩებზე, განსაკუთრებით ზოგან მაინც, ისე უხერხულადა და უალაგოალაგას დგანან ტელეგრაფ-ტელეფონის ბოძები, რომ დიდი სიფრთხილე სჭირდება ქვაფენილზე მოსიარულეს თავი არ მიატეხოს ვებერთელა ბოძებს. მაგალ., ამ დღეებში ელისაბედის ქუჩაზე ცხენის რკინის გზის ვაგონზე №-121 იდგა ტფილისელი მოქალაქე, ვინმე განჯაიანცი და უეცრად წამოედვა იქვე, გზიდან სულ რამდენიმე მტკაველზე, დადგმულ ბოძს და ცოტას გახდა ვაგონმა მოძზე არ შეამსხვრია. ამისთანა მაგალითი ერთი და ორი არ ხდება სატელეგრაფო ბოძების უშნოდ დადგმისა გამო. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ტფილისის ქალაქის გამგეობამ და ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვოს უფლება ქალაქის ქუჩებზე აღნიშნულ ბოძების წესიერად გამართვის შესახებ.

◆ გორის მაზრაში დიდის ავდრების გამო, მტკვარმა კარგა ძალი მოიმატა.

◆ 9 მარტს ტფ. სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს ალექსანდრე და გიორგი წერეთლებისას, რომელთაც მოხელის შეურაცხება ედებათ ბრალად, როდესაც იგი სამსახურს ასრულებდა.

◆ პოლიციის პირველს ნაწილში, 28 თებერვალს, სამგზავრო ფოსტის პირდაპირ, რაღაც მიზეზისა გამო უეცრად წაიქცა და გარდაიცვალა ტფ. მოქალაქე ალექსანდრე კრანჩინსკი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს გარდაცვალების მიზეზის გამოსარკვევად.

◆ მამა-დავითის მოედანზე მცხოვრების სოფიო ბარათაშვილის სახლს, გაუფრთხილებლობის გამო, 28 თებერვალს, ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს, ასე რომ ზარალი სახლის პატრონებს არა მოსვლიათ-რა.

რუსეთის ქრონიკა

∝ 18 თებერვლიდან საერო განათლების სამინისტროში დაიწყო მუშაობა იმ კომისიამ, რომელსაც დაევალა რუსეთის იმპერიაში სამრეწველო სწავლა-განათლების გავრცელების საქმის მოწყობა. პირველად კომისია შეუდგა საშუალო და დაბალ ტეხნიკურ სასწავლებელთა პროგრამის გადასინჯვას.

∝ „ელისავეტგრად. ვედომოსტ.“-ში დაბეჭდილია ხერსონის გუბერნატორის შემდეგი ბრძანება: „ფაბრიკების, ქარხნების, სახელოსნოების პატრონები, აგრეთვე მათი არენდატორები და გამგენი და მუშათა არტელების მამასახლისები ვალდებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ, რომ მუშებსა და სხვა მცხოვრებთა შორის არ გავრცელდეს მავნებელი მოძღვრებანი და საზოგადო მშვიდობიანობის ამშფოთებელი ხმები. თუ ხსენებულ დაწესებულებებში გაჩნდნენ მავნებელ მოძღვრებათა ან ამშფოთებელ ხმათა გამავრცელებელნი, აღნიშნულ პირებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ პოლიციას და თვალ-ყური არ მოაშორონ საეჭვო პირთ; ამასთანავე უნდა ეცადნენ ხელში ჩაიგდონ საეჭვო პირების გამამტყუნებელი საბუთები, როგორც აკრძალული წიგნები, ხელთნაწერები და სხვა. აკრძალულია მოსალოდნელ უწესოებათა შესახებ ხმების გავრცელება, მათ შესახებ განცხადებათა გაკვრა და წერილების დაგზავნა“.

∝ პეტერბურგში არსდება კიდევ ერთი საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება „მწვანე ჯვარი“ და რომლის მოქმედება მთელს იმპერიაზე იქნება გავრცელებული, როგორც „წითელი ჯვრის“ მოღვაწეობა არის. ახალის საზოგადოების საგანია: დახმარება აღმოუჩინოს იმ პირთ, რომელნიც რაიმე უბედურმა შემთხვევამ და სხვა-და-სხვა მოულოდნელ გარემოებებმა წააბორძიკეს ცხოვრების გზაზე და გასაჭირში ჩააგდეს.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მსესხებელთა კრება

28 თებერვალს დაიწყო კრება საადგილ-მამულო ბანკის მსესხებელთა, რომლებმაც, როგორც ვიცით, უნდა აირჩიონ ნახევარი ნაწილი რწმუნებულებისა.

ყოველივე საქმეს ეხლანდელ დროში ზრუნვა-მომზადება უნდა; ეს სიმართლე ყველა ჩვენ მიყრუებულ კუთხეებშიაც საანბანო ჭეშმარიტებად აღიარებულია; ვერ შეიგნო ეს მხოლოდ ეგრედ წოდებულმა—ქუთაისის ინტელიგენციამ. სწორედ შესაბრალებელია ამ მხრით, ქუთაისის, თუ შეიძლება ასე უწოდოთ, მოწინავე საზოგადოება: ის მედიდურად, ზევიდან დაჰყურებს ხალხს და ჰფიქრობს: ჩემზე უკეთესს ვის მონახვენ, სად გამექცევიანო. ეს არის თავი და თავი მიზეზი ქუთაისის ინტელიგენციის ყოველ საქმეში დამარცხებისა. ჩვენი დროის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ხალხის უმრავლესობა ყოველივე საქმეს თავის პირადი ინტერესით და სარგებლობით უყურებს და ის მხოლოდ იმას აძლევს მხარს, იმას ირჩევს და აყენებს წინ, ვინც მას ცნობილობს, ვინც მას ჰკადრულობს. ამ მხრით დიდი დანაშაულობა მიუძღვის ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციას: „გამშორდით, რა აქვს საერთო თქვენთან ზეგარდმო ნიჭით ცხებულ ადამიანსო“, თითქმის ასეთი სიტყვით მედიდურად ესაუბრება უმრავლესობას ქუთაისის მოწინავე საზოგადოება; ამიტომაც ის ყოველთვის ბრძოლის ველზე დამარცხებულია, თუმცა არც უმრავლესობის მომხრე, გულის მომგები რაინდები არიან სათაყვანო, სასურველი; ისინი ბოროტად სარგებლობენ უმრავლესობის რწმენა-თანაგრძნობით, მაგრამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის, ნაცნობი და შეჩვეულ-შეთვისებული ურჩევნია უმრავლესობას. სწორედ ამ მიზეზის გამო მარცხდება და ვერ იმარჯვებს პარტიულ ბრძოლაში ქუთაისის ინტელიგენცია.

თუ შემთხვევით ქუთაისის ინტელიგენცია იმარჯვებს რამე საქმეში, ეს მათი შრომა-მეცადინეობის მიზეზი კი არ არის, არამედ მოწინააღმდეგე წრის სისუსტის და უვარგისობის. აი, ამ აზრით უნდა შევხედოთ ქუთაისის ეხლანდელ არჩევნებსაც.

როგორც ვიცით, სამ რიგად არის გაყოფილი მსესხებელთა რწმუნებულების არჩევნები: თითოეულ რიგში 35 კაცი უნდა იქმნას არჩეული. პირველ რიგში არჩეულ იქმნენ:

ივ. ჯაიანი (ეხლანდელი დირექტორი ამ ბანკის) (19 თეთრი და 3 შავი), მექ. ფალავა (ზედამხედველი კომიტეტის წევრი) (19—3)*); გიორგი აკოფოვი (ყოფილი კანდიდატი დირექტორის) (22—0); ლ. ლოლუა (ზედამხედველი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე) (12—10); ნესტორ ერისთავი (ბანკის დირექტორი) (14—9). კალატოზიშვილი ალ. ბ. კალ. ჩიკვაიძისაგან წამოყენებული კანდიდატი გ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ მარგანეცის მრეწველთა კრებაზე (14—8); ალიბეგოვი (16—6); მურადოვი (15—7); რაფაელოვი (18—5.); კიკნაძე (15—7); კოზირია გ. (16—5); ბოკერია (17—5); ეზიკოვი (12—9); ბოკერია დ. (16—6); ს. ნ. დორთქიფანიძე (20—2); მაჭავარიანი (12—11); კემულარია (15—7); გოკიელოვი მ. (16—6); დახარველიძე მ. (21—1) ვოლოხ მიხ. (12—10); მოსეშვილი პ. (15—7); ფირალოვი პ. (13—10); გ. ზდანოვიჩი (12—10); დ. ა. დორთქიფანიძე (ქალაქის თავი) (18—5); გეგელესიანი გრ. (11—10); თუმანიშვილი ალექ. (15—7); ქიქოძე მ. (15—6) გუგუშვილი გ. (12—11); ჭილაძე ი. (12—11); ნაზაროვი დ. (14—9); საყვარელიძე ალ. (13—10); ჯორჯიკია სპ. (12—11).

ასარჩევი იყო 40 კაცი—35 რწმუნებული—5 კანდიდატი; აირჩიეს მხოლოდ—32; დანარჩენი —38 კაცი გაშავებული იყო, რომელთა რიცხვში ურევია ცნობილი ბელადი ძველი გამგეობის პარტიისა დ. კვირკელია და გრ. ბარათაშვილი.

გასაკვირველია ეს მოვლენა, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში საერთო ჰსიხოლოგიას, ადვილი ასახსნელია: დაბალი გრძნობით გატაცებულ პარტიას მომხრე, ხელის მომწყობი უნდა დროის შესაფერი: ვინც ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ძალას, ის არავისთვის სანატრელი და სასურველი აღარ არის.

მეორე რიგის რწმუნებულთა არჩევნებმა ისევე უსისტემოთ, უაზროთ ჩაიარა, როგორც პირველმა. თუ რამდენად წესიერი და სამართლიანია ქუთაისის არჩევნები ძველი გამგეობის მეთაურობით, დაინახვება შემდეგი მაგალითიდან: როგორც ზევით იყო მოხსენებული, ძველი გამგეობის სარდალი, ბ. დ. გ. კვირკელია პირველი რიგის ამომრჩევლებისაგან სასტიკად გაშავებულ იქმნა: 8 თეთრი 15 შავი მოუვიდა; კრების თავმჯდომარეს, ძველი გამგეობის თანამგრძნობელს, ზედამხედველი კომიტეტის წევრს, როგორც ეტყობა, ვერავითარად ეხალისა ეს გარემოება; საჭირო იყო, რამე ქუთათური ძველებური ხრიკი და აი რა ზომას მიჰმართეს: როცა არჩევნები გათავდა და ამომრჩევლების უმრავლესობა თავიანთ ბინაზე წავიდნენ, დარჩა ის 8 წევრი, რომელიც მომხრე იყო დ. კ. არჩევისა, 4 კაცი ახალი მოუყვანიათ, და ამნაირად ბ. დ. კ. 12 თეთრი გაუკეთდა და 3 შავი.—ეს ჰხდება იმავე რიგის არჩევნებში, იმავე დღეს. შეიძლება ამასაც კაზუისტური გასამართლებელი საბუთი მოეძებნოს: ასარჩევი იყო 35 რწმუნებული და აირჩიეს მხოლოდ 32-თ; მაგრამ მეორე რიგის არჩევნებზედაც შეიძლებოდა ამ ნაკლულევანების გასწორება. ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე აქ, რომ ის ახასიათებს ძველი გამგეობის და მათი ბელადების მოქმედებას, ზნეობრივ თვისებას: რამდენჯერაც უნდა გააშავო, მაინც მოახერხებენ თავიანთ თავის გამოთეთრებას კენჭით მაინც, თუ საქმით ვერა. მეორე რიგის რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ი. პურადოვი (25—15); ქორქაშვილი მიხეილ (25—15); გ. ვ. წერეთელი (37—3); ნიჟარაძე იას. (22—19); დიდია გიგო (24—18); ოცხელი იოს. (31—10); ხაბურძანია ან. (23—19); კონს. ერისთავი (22—18); ბახტაძე დ. (24—17); გაბუნია ფ. (34—6); მღვ. ცაგარელი (25—16); მოსეშვილი ვ. (21—20); მთაგრიევი თ. (26—16); ფანცხავა იაკ. (21—20); გაბუნია ვ. (27—13); კოკოჩევი (21—20); ტატიშვილი გრ. (21—20); მამაჯანოვი იოს. (21—20); დათეშიძე (21—20); ჯიჯიხია ნიკ. (21—20); ქორქოლაძე (29—12); ბარათაშვილი გრ. (24—17) (პირველ რიგში გააშავეს). ამირაჯიბი მ. (23—17); კიზირია პ. (25—18) ჩიკვაიძე ნიკო (25—16).

კენჭოსანი.

---

*) უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ჯაიანს და ფალავას ერთნაირი ხმები ამოუვიდათ; ამას გარდა ბ. ფალავა კრების თავმჯდომარე იყო (ლოლუას შეუძლებლობის შემდეგ) და ერთად ერთი მისი ღირს-შესანიშნავი განკარგულება ის იყო, რომ არავის, გარდა ძველი გამგეობის მომხრეებისა, არ აძლევდა უფლებას სხდომაზე დასწრებისას.

მართლა ისეთის მნიშვნელობისაა, რომ სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენელთა შორის არავითარი ურთიერთობა არ უნდა არსებობდეს, ან აუცილებლად უნდა აღვიაროთ, რომ სიყვარული ქართველის ქალისა და პოლონელის ვაჟისა არც საძრახისია და არც სათაკილო. შუა გზაზე გაჩერება მაინც ყოვლად შეუძლებელია, თუნდ იმიტომ, რომ ვერავითარი გონივრული პრინციპი ვერ აღნიშნავს იმ საზღვარს, რომელსაც ურთიერთობა არ უნდა გადასცილდეს. თუ ზდისი პატიოსანი კაცია, როგორც არაგვისპირელი გვეუბნება, იმას ან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა მაროსთან, ან სწორედ მაშინ არ უნდა დაეწია უკან, როდესაც უკვე სიყვარულის ალმა იფეთქა და მაროსა და ზდისს ორივეს მოეკიდა. არაგვისპირელი გვეუბნება, ზდისი მაროს თვალებში—პირუტყვს ჰხედავდაო. ამით ჩვენს ავტორს ჰსურს გვითხრას, რომ ეროვნული განცალკევება იმდენად ღრმა არის, იმდენად თვალსაჩინო, რომ ადამიანმა გონება უნდა დაჰკარგოს და უგონოდ ე. ი. პირუტყვად უნდა გადაიქცეს, რომ ამ განცალკევებას ვეღარ ჰხედავდეს და იმის დარღვევას აპირებდესო. ეროვნება, როგორც ბუნებრივი ფაქტი, სხვა-და-სხვა ერს ერთიმეორისაგან ჰყოფს, ურთიერთისაგან არჩევს, მაგრამ თუ რომელმამე გრძნობამ ეს განსხვავება დასძლია, არ გვესმის, რატომ უნდა უარჰყოს ადამიანმა თავისივე გრძნობა, იმ მოსაზრებით, რომ ეროვნება გამასხვავებელი ფაქტიაო. ამ გვარს შემთხვევაში საკუთარის გრძნობის უარყოფა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც ბუნებრივი ფაქტი ეროვნებისა დოგმატიურ პრინციპად გადაიქცევა; უნდა გვახსოვდეს, რომ უკანასკნელს შემთხვევაში, ადამიანი ცალმხრივდება, ვიწროვდება და ამის გამო ხშირად ისეთს სისაძაგლეს ჩაიდენს, როგორიც არაგვისპირელის ზდისმა ჩაიდინა. ზდისის სამშობლოსადმი სიყვარული, ზდისის პატრიოტისმი კარგი თვისებაა, მაგრამ როდესაც ეს პატრიოტისმი მის გულში გაჩენილს სიყვარულისაკენ ზურგ შეაქცევინებს, თავის გრძნობის მოსაკლავად კავკასიიდამ პოლონეთში გაისტუმრებს და მაროსავით გულმართალს ქალს პირუტყვობის ბრალდებას შეათხზევინებს, მაშინ ეს პატრიოტისმი ფასსა ჰკარგავს... აღვნიშნავთ, რომ ბ. არაგვისპირელის „ჩემი სამშობლო—ჩემი გულია“ მიახდენილად არის დაწერილი და ხალისიანად იკითხება.

„მიწა“ პატარა და შნოიანი ეტიუდია. ჩვენს თანამედროვე სიტყვა-კაზმულს მწერლობაში ხშირად არა ვხვდებით ისეთის გრძნობით დაწერილს ეტიუდებს, როგორც არაგვისპირელის „მიწაა“. ამ ეტიუდის შინაარსიც საგულისხმოა და ლამაზი. მთიელი ბერა სხვებთან ერთად ეტაპით ციმბირისაკენ მიჰყავთ დასასახლებლად, თანახმად სასამართლოს დადგენილებისა. ბერა ავადმყოფი კაცია, იმედი არა აქვს, კიდევ ეღირსოს ციმბირიდან უკან დაბრუნება და საყვარელი სამშობლოს ნახვა, მაგრამ იმას უმთავრესად ის აწუხებს, რომ სხვათა ქვეყანაში მოკვდება და უცხო მიწა მიიბარებს იმის გვამს. როდესაც ბერა ანანურზე გამოატარეს, იქ საბრალომ ერთი მუჭა მიწა დახვეტა, ხელსახოცში გამოჰკრა და თან წაიღო გზაზე; ფიქრობდა, სიკვდილის წინ გულზე დავიყრი, ვითომ ჩემს სამშობლოში დავმარხულვარ და, ჩემი ქვეყნის მიწა დაუყრიათ ჩემთვის გულზეო. ერთს ადგილას, გზაზე, ბერას სხვებთან ერთად გასჩხრეკავენ უფროსის ბრძანებით, თან ხომ არაფერი აქვსო. უფროსი ეჭვის თვალით უყურებს ხელსახოცს, რომელშიაც ბერას მიწა ჰქონდა გამოკრული, და თხოულობს, რომ მიწა გადაყაროს. ბერა უარზეა; უფროსი ბრაზზე მოდის, ურჩობას როგორ ჰბედავსო, და უბრძანებს როზგით სცემონ. საბრალო ავადმყოფ ბერას წამოაქცევენ სალდათები და უფროსის ბრძანებას ასრულებენ, მაგრამ ბერას მიწა ისევ ხელში უჭირავს და არ უნდა გაჰშორდეს ამ თავის ქვეყნის ნიშანს. ცემით შეწუხებული ბერა მალე გონსა ჰკარგავს, და მაშინ ერთი იმის ამხანაგთაგანი, გიორგი, გამოჰგლეჯს ხელიდან ხელსახოცს, გამოჰხსნის მიწას და დააბნევს. უფროსი დაკმაყოფილებულია, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თითონვე სწუხს, რომ ასე უმიზეზოთ სტანჯა ეს უბედური კაცი. ბერა ცოტა ხნით გონს მოვიდა და თავისი მიწა მოიკითხა; გიორგიმ გული გადუხსნა და უთხრა, რომ მიწა გულზე აყრია. დამშვიდდა ბერა და სამუდამოდ გამოეთხოვა სიცოცხლეს.

ესეც სამშობლოს სიყვარულის საგანზეა დაწერილი, ისე როგორც „ჩემი სამშობლო—ჩემი გულია“, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ერთს ეტიუდში სამშობლოსადმი უდანაშაულო სიყვარულს ვხედავთ, მეორეში კი ისეთს პატრიოტობას, რომელიც ახალგაზრდა ქალს აუბედურებს და ბუნებრივს გრძნობას უარჰყოფს; აღვნიშნავთ, რომ ხელსახოცში გამოკრული ერთი მუჭა მიწა საუცხოვო მოხდენილი სიმბოლოა მამულის სიყვარულისა, რომელსაც არავისთვის არაფრის ვნების მოტანა არ შეუძლიან, მაგრამ უფროსს კი საეჭვოდ ეჩვენება და როზგით სცდილობს ხელიდან გააშვებინოს.

გასულს 1901 წელს დაისტამბა „მოამბე“-ში ბარნოვის ისტორიული მოთხრობა „ისნის ციხკარი“ და კიდევ ერთი პატარა ამბავი „პროფესსორი“. სამწუხაროდ, ორივე სუსტია და „ჩეჩვენას“ ავტორს კი ბევრად უფრო მეტი მოეთხოვება. „მოამბეშივე“ დაისტამბა ქ. აზიანის „გაცრუებული იმედი“. ეს კომედია გასულს წელს რამდენჯერმე ითამაშეს ქართულ თეატრის სცენაზე და, შედარებით, საკმაოდ მოეწონა საზოგადოებას. ქ. აზიანი, როგორც ამ კომედიაში, აგრეთვე წინად დაწერილს „ფულსა და ხარისხში“ ამხელს, რომ იმას უხვად აქვს მინიჭებული ცხოვრების დაკვირვებითი ნიჭი. მისი კომედიების პირები ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული, ჩვენი ნაცნობები არიან; სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ახალგაზრდა მწერალს ქალს იმდენად ვერ შეუმუშავებია მოგროვილი მასალა, რომ ჭეშმარიტი კომედია ეთქმოდეს მის თხზულებებს, რომლებიც უფრო სცენებს წარმოადგენენ. მოვაგონებთ ქ. აზიანს, რომ გერმანიის ახალი სასცენო მწერლობის ავტორი, ახალი დრამის დამამკვიდრებელი ლესსინგი ამბობდა ხოლმე, ჩემი დრამების და კომედიების დაწერისთვის იმდენად ნიჭის მადლობელი არა ვარ, რამდენიც კრიტიკისაო. ამ გზას უნდა დაადგეს, ჩვენის ფიქრით, ქ. აზიანიც და მაშინ მისი სამწერლო მოქმედება უფრო ნაყოფიერი იქნება.

ფანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი გურიიდან

(საქმენი საგმირონია)

არ ვიცით, რას მიეწერება—ეკონომიურ კრიზისს თუ ხალხის უკან მსვლელობას, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ დღე არ წავა ისე, რომ გურიის რომელიმე კუთხიდან ახალ ამბავად არ გაიგონოთ „საქმენი საგმირონი“, ღამის რაინდებისაგან ჩადენილი. მოგახსენებთ მათში უკანასკნელ ერთი კვირის ამბავს.

21 თებერვალს ქ. ოზურგეთში მოვაჭრე ექ. დონაძის ნოქარ ბიჭს ალვიძებს ვიღაც გურიანთელი ჩხაიძე, აღებინებს დუქნის კარებს, შედის შიგ და, თითქოს მამა-პაპეული იყოს, მიაქვს არხეინად ოქრო-ვერცხლეული და ფულად ათას მანეთზე მეტი. მას კვალ-და-კვალ მისდევს ქალაქის ბოქაული თ. გ. ნაკაშიძე, ატყვევებს ჩხაიძეს და მოყავს ოზურგეთში. ჩხაიძე უარზეა: ის „ცაში მართალია“ და ტყუილად „აბიდას“ აძლევენ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდება გურიანთის მამასახლისიდან „იფრინდა“ და მოაქვს ცნობა, რომ რამოდენიმე ნივთი აღმოჩნდაო. დღეს ეს ჩხაიძე გამომძიებელმა წაიყვანა დანარჩენი ნივთ-ფულის აღმოსაჩენად, რადგან ზოგიც თურმე „მეღამის“ მიწაში დაეფლა.

დ. ხიდისთავი. 24 თებერვალს, ღამით მიადგნენ რაინდები ბურღებით და სხვა იარაღებით თ. კალანდაძის სავაჭრო დუქანს, მაგრამ ეზარალათ შრომა. ბედად, ადრე გაიგო დარაჯმა და რაინდები დღესაც გარბიან.

ს. ახალჩენი თებერვლის ბოლო რიცხვებში გატეხეს შემელიძის სახარაზო დუქანი, წაიღეს საათი, წუღები და პაწე ჯიბის „ფარაც“.

სოფ. ჯვარცხმაშიც „გამოახიბაკეს“ მთელი სახლის ავეჯი და სურსათი. ასე წარმოიდგინეთ, ნასუქი ბატ-ღორიც არ დაიწუნეს.

25 თებერვალს, ღამით, სადგურ სუფსაზე ზედ სადგურთან სიმონ მახარაძის სახლში ღალატით მოჰკლეს ყაჩაღი გუჯაბიძე. გუჯაბიძე კატორგიდან გამოქცეული ავაზაკი იყო და აგერ წელიწადია გურიაში თავს იმალავდა, მაგრამ ბედმა ბოლოს უმტყუნა. მას მოასწრეს „სტრაჟნიკებმა“ მძინარეს და ცოტა გადაკრულსაც და მოჰკლეს ისე, რომ შეიარაღებულ გუჯაბიძეს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. აწ მაინც, იმედია, რაკი ყველა ავაზაკები დაჭერილია, გურიანთის სამამასახლისოს „ეგზეკუციას“ ახსნიან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 თებერვალი.

პეტერბურგი. პეტერბურგში მოვიდა 26 ავსტრიის ქვეითა პოლკის დეპუტაცია, რომლის შეფადაც არის დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. სენატორი გერნე გარდაიცვალა.

პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ირჩევა ცეცხლის მოკიდების საქმე, რათა მიეღოთ დასაზღვევი ფული; ცეცხლი წაუკიდა ექიმ კრაევსკის სააგარაკო სადგომს, რომელშიაც დაიწვა თვით ექიმი თავისი მახლობელი ხალხით.

პეტერბურგის საიდუმლო პოლიციამ აღმოაჩინა გარდაცვალებულის პ. ბ. ქონების გატაცების საქმე; ყველაფერში გამოტყდა ბ-ეს მოახლე, რომელსაც იმისაგან ბავშვი შეეძინა.

ვინდავა. მოსკოვსა და ვინდავას შუა მოკლე ხანში დაიწყება მატარებლის სიარული, რომელიც გზაში 36 საათს მოუნდება.

მოსკოვი. საერობო დამზღვევ აგენტთა კრება დაიწყო. უნდა განიხილონ კითხვა ურთიერთ დამზღვევ დებულების შეცვლის შესახებ.

სევასტოპოლი. ღელვის გამო საფოსტო გემები ერთ დღე-ღამეს იგვიანებენ.

ალუშტა. რადგანაც ზამთარში წვიმები არა ყოფილა, ბევრი წყარო გაშრა; ვენახები ვერ მოირწყვება, რაც იმათ ძალიან ავნებს.

ხარკოვი. ბუხარის ემირმა გაიარა ხარკოვით ყირიმში. საისტორიო-საფილოლოგიო საზოგადოებას ოცდა ხუთი წელი შეუსრულდა.

სემიპალატინსკი. ახლად დანიშნული გუბერნატორი სოკოლოვსკი მოვიდა 24 თებერვალს.

სიბირსკი. მწერალი ნაზარიევი გარდაიცვალა.

ბრესტ-ლიტოვსკი. მესამე კლასის ვაგონში აღმოაჩინეს ორი თვის ბავშვის გვამი, რომელიც ძალად დაუხრჩვიათ.

კიევი. გემების სიარული გადაიდო, რადგანაც წყალს ყინული მოაქვს.

ასტრახანი. სენატმა სამართლიანად სცნო ქალაქის თავის განსაზღვრება გუბერნატორისაგან. ნება დართულის მუსიკის შესახებ სასტუმროებში.

ვარშავა. ვარშავის ხალხის სიფხიზლის კომიტეტმა გამოაცხადა სახალხო სახლის აშენების პროექტზე კონკურსი.—დიდ მარხვის განმავლობაში რუსული დასი 16 წარმოდგენას გამართავს.

ჰელსინგფორსი. უმაღლესის ბრძანებით ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი, ამ წელს სამხედრო ბეგარის გადასახდელად მესამე მსროლელთა ბატალიონში დანიშნულია მოსაწვევად მხოლოდ 280 და არა 500 კაცი.—სენატს ნება დაერთო ათის წლით ხელშეკრულობა დასდოს გემების სწორე მიმოსვლაზე განგოს და გულემს შუა, რათა ინგლისში ზეთი ზიდონ.

ჰელსინგფორსი. „ფინლიანდიის გაზეთ“-ში გამოცხადებულია: „ჰელსინგფორსის ნიკოლოზის ლიუტერანების საკრებულო ტაძარში პასტორი ხალმე ლამობდა მანიფესტი წაეკითხა სამხედრო ბეგარაზე, მაგრამ იმას დაუშალა განათლებულ ხალხთა ჯგუფის დემონსტრაციამ;—ამ ხალხში ერივნენ რედაქტორი ესკკო, ლიცეის ყოფილი რექტორი ბონსდორფი, ვექილი გარტმან ჯალინი, ექიმი ცილიაკუსი, ფილოსოფიის მაგისტრი ბლუმკვისტი, მოხელე გოლმბერგი და მღივანი ფურუგელმი, რომელმაც ჯოხი დაარტყა პოლიციის კომისარს. ოქმები შეადგინეს და გარდასცეს დამნაშავეთა სამართალში მისაცემად“.

ჰეილბრონი. ამბობენ, რომ დევეტმა და შტეინმა გადაიარეს რკინის გზის ლიანდაგი ვოლვეგეკს ჩრდილოეთით და გაემართნენ დასავლეთისაკენ.

ლონდონი. ირლანდიის ლორდ-მმართველმა გამოაცხადა, რომ მეფე წელს ირლანდიაში არ მოვა.

კოპენჰაგენი. ფოლკსტინგის კრებაა დანიის ვესტ-ინდიის კუნძულების დათმობის საქმის გამო. ნილსენმა განაცხადა, რომ დანიის მდგომარეობის დაცვა სულ სხვა პირობებზეა დამოკიდებული, ვიდრე კუნძულების მფლობელობაზედ; კუნძულებს ბედნიერი მომავალი მოელის მეზობელ დიდი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ოტტოზენმა ილაპარაკა თითონ ხალხისაგან არჩევანის შესახებ. ვიერრემ უპასუხა, რომ ახლო მომავალში კუნძულების მდგომარეობა გაუმჯობესდება. გარეშე საქმეთა მინისტრი დეინცერი განუმარტავს, რომ კუნძულების დათმობის მიზანი იმათი გაყიდვა კი არ არის, მიზანი ის არის, რომ ამერიკის სამფლობელოში გადასვლის თანავე ისინი მიიღებენ უკეთეს მდგომარეობას. ვიერრე უპასუხებს, რომ პოლიტიკაში ფაქტებს აქვს მნიშვნელობა და არა იმედებს. გამერიხი წინააღმდეგი იყო დათმობისა, რომელსაც ისე დაუწყებენ ყურებას, როგორც შეუძლებლობის გამოცხადებას.

ნიუ-იორკი. გერმანიის იმპერატორმა მადლობა გადაუხადა დეპეშით რუზველტს იმ პატივის ცემისათვის, რომელიც პრინც ჰენრიხს აღმოუჩინეს. „იმპერატორისგან გაწოდებული ხელი პრეზიდენტმა ვაჟკაცურად ჩამოართვა; ღმერთმა მშვიდობიანობით აკურთხოს ურთიერთი განწყობილება“. რუზველტმა უპასუხა, რომ იმპერატორის ძმის ნახვამ ხელი შეუწყო მეგობრულ გრძნობათა განმტკიცებას. ამერიკელები პრინც ჰენრიხს მიესალმენ, როგორც თვით იმპერატორს და გერმანიის ხალხის იმპერატორის წარმომადგენელს.

პეტერბურგი. 28 თებერვალს დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ დიდის მთავრით, ანდრია ვლადიმირის ძით, დაათვალიერეს ხელოვნებათა აკადემია, სადაც გასინჯეს გაზაფხულის გამოფენისთვის დამზადებული სურათები.

2 მარტს შესრულდება ორმოცდა ათი წელიწადი, რაც ფელდმარშალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 26 ავსტრიის ქვეითი პოლკის შეფის წოდება მიიღო.

სუხოვო-კობილინი და პეშკოვი (გორკი) არჩეულ იქმნენ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსებად.

27 თებერვალს რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელს საზოგადოებაში ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრმა შვანებახმა დალაგებით გაარჩია შარაპოვის და ბუტლის წერილი ფინანსთა მინისტრის მოხსენების შესახებ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალზე. შვანებახმა დაამტკიცა, რომ შარაპოვი და ბუტლი შესცდნენ—იმათ არ ჰქონიათ ზოგიერთი გამოცემანი ფინანსთა სამინისტროსი და კონტროლისა.

1 მარტი.

პეტერბურგი. ნავთ-სადგური ინკოუ შავის ჭირის მხრივ უშიშრად არის ცნობილი.—მეცნიერებათა აკადემიის უავგუსტოესს თავმჯდომარეს 21 თებერვალს დეპეშა მოუვიდა ბელგრადიდან გოგოლის პატივსაცემად ამორჩეულ კომიტეტისაგან; კომიტეტი სთხოვს უავგუსტოეს თავმჯდომარეს მიიღოს სერბების გულწრფელი მონაწილეობა გოგოლის კულტურულ და ლიტერატურულ დამსახურების ქება-დიდებაში. ამ დეპეშაზე დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ შემდეგი პასუხი მისწერა: „გულწრფელად მოხარული ვარ სერბების მონაწილეობის გამო გოგოლის სახელის პატივისცემაში და დარწმუნებული ვარ, ამ გვარი თანაგრძნობა ხელს შეუწყობს ორივე ერის სულიერ ერთობას“.

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეთში“ დაბეჭდილია ვაჭრობის განყოფილების შემდეგი განცხადება: დარკე დეი და კო ლონდონში წინადადებას აძლევს რუსეთის მეფაბრიკეებს, თუ მსურველი აღმოჩნდება, ხსენებულ ფირმას მიაწოდონ შუშა, პირდაპირი დამოკიდებულება იქონიონ ამ ფირმასთან; ფრედერიკ მაუენფორდს სურს პირდაპირ მწარმოებელისაგან გამოიწეროს ნავთის ფისი.

სიმბირსკი. ცხენები ბევრია. ფასები კარგია; ბევრ ცხენს ჰყიდულობენ ინგლისში გასაგზავნად.

ვორონეჟი. შესდგა კრება იმ კასის დამფუძნებლებისა, რომლებიც დახმარებას უჩენენ ცოლის შემრთველთ.

ნოქართა საზოგადოებამ დააარსა ბიურო ბინის მოძებნისა.

სახალინი. ალექსანდროვსკში იდღესასწაულეს გოგოლისა და ჟუკოვსკის იუბილეი. გამართეს უფასო კითხვები და წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადადებულია სახალხო სახლის ფონდისათვის. ს. რიკოვსკოეში ფულს კრებენ გოგოლის სახელობაზე ღამის გასათევ სახლის ასაგებად. დღესასწაულების კომიტეტს თავმჯდომარეობს სამხედრო გუბერნატორი ლიაპუნოვი.

მოსკოვი. ბოლგარიის სლავიანურმა საზოგადოებამ წინადადება მისცა მოსკოვის ამავე საზოგადოებას, განიხილოს საკითხი საერთაშორისო სლავიანურ კომიტეტის დაარსებისა; ამ კომიტეტმა უნდა გააერთიანოს ყველა სლავიანურ საზოგადოებათა მოქმედება და სხდომები გამართოს ყველა სატახტო ქალაქებში, სადაც კი სლავიანები სცხოვრობენ.

კოპენჰაგენი. როცა ემიგრანტების ახალი გემი წასვლას აპირებდა, პოლიციას უნდოდა გემზე გაქცეულ კოჩეგარების მიყვანა, მაგრამ ხალხი ჩაერია საქმეში და გამოგლიჯა პოლიციას ხელიდან ხუთი კოჩეგარი; პოლიციამ ჯოხები იხმარა; ერთი პორუჩიკი თავშია დაჭრილი. არეულობით ისარგებლეს კიდევ რამდენიმე კოჩეგარმა და გემიდან გაიქცნენ; მაგრამ პოლიციამ მალე გაჰფანტა ხალხი და გემი დროზე წავიდა, რადგან გაქცეულები მალე მიიყვანეს გემზე.

ვენა. პირველი რუსული სიმფონიური კონცერტი ლოლინას მონაწილეობით დიდად მოეწონა საზოგადოებას.

ბაქო. ცეცხლი გაჩნდა რომანაში ასადულაევის ადგილში, დაიწვა ოთხი კოშკი მუსა ასადულაევისა, 10 კოშკი და ბედელი ნაგიევისა და 8 კოშკი კასპიისა და შავის ზღვის საზოგადოებისა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჟაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

გამგეობა ტფილისის ნოქრების საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებისა, თებერვლის 15-დან გადავიდა განოვის ქუჩაზე, სახლი № 17 ა. ფრიდონოვისა, სადაც მიიღება საზოგადოების წევრებისაგან საწევრო ფული, ამასთანავე მიიღება განცხადება იმ პირთა, რომელთაც სურთ ჩაეწერონ წევრათ ხსენებულ საზოგადოებისა. კანტორა გამგეობისა ღიაა ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით კი დილის 12—1-მდე. (1—261—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესო აბრეშუმის

გრენა

(თესლი)

არუთინ ქალანთაროვის ფირმისა ისყიდება ხელმისაწვდენ ფასებში. გრენი შემოწმებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფებს თეთრი ბანდეროლი არტყია.

ადრესი: სიონის ქუჩა ძმ. მელიქ. მარუთოვების მაღაზია. (15—3)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამავე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“**

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.